

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი" აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე - **პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი (Head of Software Development)**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სათავო ოფისი**

განაკვეთი: **სრული**

„კრისტალი“ ქართულ ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით, ამ მიმართულებებით კომპანიას თავისი საქმიანობის მანძილზე მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აღიარება აქვს მოპოვებული. „კრისტალი“ უკვე 23 წელია წარმატებით ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, 50-მდე ფილიალის მეშვეობით მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული და განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით, ხელს უწყობს ათასობით მომხმარებლის ეკონომიკურ განვითარებას.

„კრისტალის“ დიდი გუნდი აერთიანებს 1000-ზე მეტი ადამიანს, რომლებიც ქმნიან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურას, რაც ნათლად გამოიხატება განვითარებაზე ორიენტირებულობაში, მეგობრული გარემოს შექმნაში, თანამშრომლებზე ზრუნვაში, გუნდურობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში. სწორედ ასეთი გარემო და კოლეგიალური ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე მრავალი წელია კომპანიაში დასაქმებული, რაც ნათლად აისახება კომპანიის სიძლიერეზე, სტაბილურობასა და წარმატებაზე.

„კრისტალი“ გთავაზობთ:

- პიროვნულ და პროფესიულ ზრდას
- მეგობრულ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს
- ჯანმრთელობის დაზღვევას
- დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას

ძირითადი მოვალეობები:

- დაქვემდებარებული თანამშრომლების ხელმძღვანელობა, მათი მოტივაციასა და პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა, დავალებების განაწილება, შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება
- კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის სტრატეგიის, სტანდარტების და არქიტექტურის შემუშავება და განხილვა
- პროგრამირების სფეროში ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესახებ შესაბამისი წინადადებების, სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

- IT განვითარების (Development) სამსახურის მუშაობის სრულყოფისა და გაუმჯობესების წინადადებების, რჩევებისა და გეგმების (ინოვაციური მეთოდოლოგიების, ტექნოლოგიების, მიდგომებისა და პრინციპების) შემუშავება, მათი იმპლემენტაცია გუნდთან ერთად
- საჭიროების შემთხვევაში ამოცანების განსაზღვრაში ჩართულობა, პროგრამული არქიტექტურის შემუშავება ყველა საჭირო, არსებულ სისტემებთან ტექნოლოგიური ინტეგრაციის უზრუნველყოფის ჩათვლით, მათი ალგორითმების ჩამოყალიბება ან მონაწილეობის მიღება.
- გარე წყაროებიდან მიღებული (outsourced) სისტემებისა და სერვისების იმპლემენტაციასა და არსებულ სისტემებთან ინტეგრაციაში ჩართულობა
- პროგრამირების სტანდარტების შემუშავება, დაცვა და მართვა, მათ შორის საინფორმაციო უსაფრთხოების კუთხით
- უშუალო ხელმძღვანელის/ კომპანიის მიერ მიცემული სხვა დავალებების და დელეგირებული უფლება-მოვალეობების შესრულება, კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე;

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- IT დეველოპმენტის მიმართულების მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება
- IT პროცესებისა და არქიტექტურის შემუშავების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა სავალდებულოა

აუცილებელი უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები:

- ანალიტიკური, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
- პრობლემური და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი
- დამარწმუნებელი კომუნიკაციისა და არგუმენტაციის უნარი
- გუნდის მართვის და შეკვრის უნარი
- ლიდერული უნარ-ჩვევები
- შედეგებსა და დეტალებზე ორიენტირებულობა
- პასუხისმგებლიანობა და ორგანიზებულობა
- სამართლიანი და ობიექტური

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ რეზიუმე 2021 წლის 25 ივლისის ჩათვლით შემდეგ ელ. მისამართზე: vacancy@crystal.ge და სათაურის ველში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება (**წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება**).

დაფიქსირებული განაცხადების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები იქნებიან გამოძახებული შემდგომ ეტაპზე ვაკანსიის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში.

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.